# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 75 კვირა, 4 აპრილი 1910 წ. № 75

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეჯერ ხაღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ღთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახავს ... რედაქტორი ... კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ... დღიდის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



ბარბარე რაფიელის ასული კნ. ხიმშიაშვილისა შვილებითურთ, მარიამ გიორგის ასული გლონტისა, ნინო გიორგის ასული და კონსტანტინე იოსების ძე ყავრიშვილნი შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ველურად მოკლულის პირველის—დაუვიწყარ მეუღლის, მეორის—მამის, მესამის და მეოთხის—ძმის, მეხუთის—ცოლის ძმის, ხოლო—უკანასკნელის—ბიძის

თავ. ნიკოლოზ გიორგის ძის ხიმშიაშვილის

სულის მოსახსენებლად ოთხშაბათს, 7 აპრილს, გარდაცვალების ნახევარი წლის თავზე, გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი სოფ. ბულაჩაურში (დუშეთის მაზრა). (1—223—1)

დაიბეჭდა და აპრილის 10-ს დარიგდება „ფასკუნჯის“ პირველი ნომერი შემდეგის შინაარსით:

1. «ხიმღერა», განდეგილისა. 2. „ზღაპარი“, კ. მაყაშ—სა. 3. «ლანდები», პოემა ა. შანშიაშვილისა. 4. „საბედისწერო დამბაჩა“, დრამა ე. რ. რამიშვილისა. 5. «კურუიანი», ინდ. პოემა, თარგ. ა. სარაჯიშვილისა. 6. „გ. სუნდუკიანცს“, აკაკისა. 7. „ნაწყვეტები“, ეკ. გაბაშვილისა. 8. „დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის მგოსნები“, ნ. მარრისა, თარ. გრ. ყიფშიძისა. 9. „თარის ხმა“ (ლექციიდან), გრ. რობაქიძისა. 10. «გ. წერეთელი», კ. აბაშიძისა. 11. «რა არის ტრაგედია», კალამისა. 12. «მომავალის ცეკვა», აის. დუნკანისა, თარ. ა. ფაღავასი. 13. განცხადება, აკაკისა. 14. სურათის ახსნა.

ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი სურათები: 1. თინათინის დაგვირგვინება, ათ ფერად დაბეჭდილი სურათი მე-17 ს. ხელნაწერი ვეფხ ტყაოსნიდან. 2. მწუხარება, ქანდაკება ი. ნიკოლაძისა, ფოტოტიპიური სურათი. 3. ეკ გაბაშვილის პორტრეტი, ფოტოტიპიური სურათი. 4. მეორმოცე წლების მოღვაწენი. 5. რაფაელის პორტრეტი. 6. ღვთისმშობელი, რაფაელის სურათი. 7. ბავშვი, მისივე სურათი. 8—10. ინგლისელი არტისტი ირვინგი ჰამლეტის, შეილოქის და რიშელიეს როლებში. 11 მუსიკა და ცეკვა.

ფასი პირველი N-სა 75 კაპ.

ჟურნალი წლით ღირს 5 მან. ჟურნალის დაკვეთა შეიძლება ამ ადრესით: ტფილისი, წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზია, ან სტამბა ხორაპანი.

პირველი N-ი იყიდება ყველგან. რედ. გამომც. ს. ფირცხალავა (3—1)



ქართული თეატრი

კვირას, 4 აპრილს,

● გამოსამშვიდობები წარმოდგენა ●

სასახლის არტისტის

რობერტ ლენცისა

◄ ელეონორა ლენცის მონაწილეობით

სულ ახალი პროგრამა 3 განყოფილებად: პირველად: მფრინავი მაგიდა და მოცეკვავე საზოგადოება. მეორედ: ციგნების რომანსებს შეასრულებს ქალი რობერტ ლენცისა m-lle ზინა ლენცი.

დასაწყისი საღამ. 8½ საათზე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.
დაწვრილებით აფიშებში. (2—ხალ.—2)

იბეჭდება და მალე გამოვა BATON-ის წიგნი

„ერი და კაცობრიობა“.

დაბეჭდილია 300 გვერდზე მეტი. ვთხოვთ იმ აგენტებს, ვისაც გაეგზავნა საკვიტანციო წიგნაკები და ანგარიში ჯერ არ გაუსწორებია, გამოგზავნონ ფულიც და წიგნაკებიც.

ფული და წერილები შეიძლება გამოიგზავნოს „დროების“ კანტორაში.

გამომცემელი მ. ხუციშვილი. (5—2)

სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი
ქუთაისში

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა, მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (45—151—43)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.- დ ... ხას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 ს...
გედევანიშვილი მ. ა. ნერ. ... ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11.
გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
მალალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., დღგ, 9—11 ს.
მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
მუსხელიშვილი ვ ს. თვალის, ორშ., ოთხშ. და პარასკ. 2 2-ნახ. ს.
ფირაძოვი რ. ზ. ქირურ. ყოველ-დღე
პაპოვი ვ. ა. ქურ., ყელის და ცხვი., ყო დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.
ხობოლევსკი ვ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—148)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა,
ზ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—311)

ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულიოთ წამლობა ჰლექიანებისა, ელექტრო-ტერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—კვ.—40)

ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—404)

ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—კვ.—11)

ექიმი კბილისა ქუთაისში ა. ა. ბუტულოვისა

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. და საღამოთი 4—7 ს. მოსწავლენი იხდიან ნახევარს. გიმნაზიის ქ., ა. თუმანოვის სახლი, ბულვარის პირდაპირ. 25—კვ.—14

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—39

ექიმი ზ. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—64)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი გირპიჩრაია). (0—98

ექიმი ქუთაისში ფ. ი. გასნევსკი

იღებს ავადმყოფებს შინაგან სნეულებათა და ბებიაობისას დილით 11—1 საათამდე, საღ., 5—7 საათამდე. კაზაკოვის ქ. N 13. ღარიბებს უფასოდ. (25—კვ.—22)

ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოხე ქიქოძის სახლი. (0—უ.—154)

ბებია ქალი სოფიო ილიას ასული გელზორდტ-ლოკიში

რომელიც მუშაობდა მიუნხენის სამეფო დედათა პოლიკლინიკუმში დაბრუნდა ტფილისში და ხელახლა შეუდგა ავადმყოფთა მიღებას. დიდი ვანქის ქ., N 4, სახლი მალაევისა, სამხედრო ექიმების სამკურნალოს პირდაპირ. (12—205—3)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.
რიდელი—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.
თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.
პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.
იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.
ბოყოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.
ერმოლაევი—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.
ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 2—3.
ნოვიცკი—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.
ახვლედიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.
კალამქაროვი—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.
ბალდინა-ნოვიცკაია—ცხვ. ყელ. ყურის. 11½—12½ საათ.
ასპიროვი—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.
ფონდოევი—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—ნ.—29)

ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

ექიმი დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

სახალხო უნივერსიტეტი

კვირას, 4 აპრილს,

ნ. ე. ერმოლაევი

წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:

„პოლიტიკური ეკონომია“

დასაწყისი 11 საათზე. ფასი 5 და 10 კაპ. (2—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

იწვევს სავაჭრო დაწესებულებათა მოსამსახურეებს (ნოქრებს) მეორე საზოგადო კრებაზე 11 აპრილს 1910 წელს, დილის 11 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში (ერევნის მოედანი). კრებამ უნდა აირჩიოს ექვსი წევრი შერეულ კომისიაში, რომელიც შეიმუშავებს სავალდებულო დადგენილებებს მოსამსახურეთა ნორმალურ დასვენების შესახებ.

კრებაზე დასწრების უფლება აქვთ სრულ-წლოვან მოსამსახურეებს (ნოქრებს), თითოს თითო დაწესებულებიდან, რომელიც არჩეულ უნდა იქმნას, როგორც წარმომადგენელი ამა თუ იმ დაწესებულების სრულწლოვან მოსამსახურეებისაგან (ნოქრებისაგან). კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ სავაჭრო დაწესებულებების მოსამსახურეებს, რომელთაც 1909 წელს გადაუხდიათ სამრეწველო გადასახადი. კრებაზე შესვლისას მონაწილეებმა უნდა წარადგინონ რწმუნების ქაღალდები, რომელზედაც ხელი უნდა ეწეროთ ამომრჩევლებს.

ეს კრება მეორედ ინიშნება, ამიტომ კანონიერად ჩაითვლება, რამდენი კაციც უნდა დაესწროს. (3—6.—1).

ივ. გრ. ხალათიანი

იღებს ყოველგვარ განცხადებას ადგილობრივ და სხვა ქალაქების გაზეთებისათვის.

ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს გაზეთ „დროება“-ს კანტორაში: დიდი ვანქის ქ., № 12. (0—6)

ქვის ქარხანა

გვაქვს დამზადებული ძეგლები, მშვენიერი ფორმისანი, ალგეთის ქვისა და განჯის ფერად და თეთრ მარმარილოსი, დიდრონები და პატარებიც, ყველა ფასიანი. აგრეთვე ვიღებთ შეკვეთით იტალიის თეთრ მარმარილოს ძეგლებს.

შეკვეთილი ძეგლები მზადდება სუფთად, ჩვენ თითონვე ვმართავთ საფლავზე, ძეგლები მაისის გასვლამდე მეტად დაკლებულ ფასებში გაიყიდება.

ადრესი: კუკიის სასაფლაოს პირდაპირ, ქვის ქარხანა გრიგოლ და ლევანტი მიროტაძეებისა. (8—208—4)

◄ სრული პასუხის მგებლობა ►

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ საუკეთესოდ მოვაწყე

„ფეხსაცმელების სახელოსნო“

გვაქვს მზად შეკერილი ფეხსაცმელები ქალებისთვის, კაცებისთვის და ბავშვებისთვის საკუთარი ნამუშავარი—შევროსი, ხრომისა და სხვა მასალისა, აგრეთვე ვკერავთ შეკვეთით სუფთად, მკვიდრად და დანიშნულ ვადაზედ. საქონლის სიკარგისათვის ვკისრულობ სრულ პასუხის მგებლობას.

ადრესი: წყნეთის ქუჩა, სახლი ხითაროვისა N 28.

პატივისცემით ივ. ხვ. ბერძნიშვილი.

◄ სრული პასუხის მგებლობა ► (25—ნ.—15)


## ნავთსაყუდელის ძებნაში

2. *)

არც ოსკარ უალდის ნაწარმოებს, არც გრიგოლ რობაქიძის ლექციას სავსებით არ შევეხები. ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში უკვე დაიბეჭდა ამ საგნის შესახებ რამდენიმე წერილი. ასე რომ მე აქ სახეში მექნება მხოლოდ ის მთავარი აზრი, რომელიც მქონდა წამოყენებული პირველ წერილში—ადამიანის წყურვილი დააღწიოს თავი სიცოცხლის ტანჯვისაგან და სძლიოს, დასთრგუნოს სიკვდილი. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ამ წყურვილიდან წარმოიშვნენ რელიგიოზური სისტემები. ახლა უნდა შევჩერდეთ იმაზე, რომ ამ წყურვილმა აამოძრავა ოსკარ უაილდის მხატვრული შემოქმედება, რომლის შემწეობით მან შეჰქმნა მშვენიერების რელიგია,—ესეც ერთგვარი იარაღი ბოროტების და სიკვდილის დათრგუნვისა.

გრიგოლ რობაქიძის ლექციის დედა-აზრიც სწორედ აქ ისახება. განვმარტოთ იგი. ლექტორის ანალიზი უალდის შემოქმედებისა ამგვარია: „სინამდვილე ხელოვნებაა მხოლოდ და ოცნება მისი მომხიბლავი სანავარდო. ნამდვილი სინამდვილე ტლანქი და უხეშია, ხელოვნება-მოქნილი და ნარნარი; სანამდვილე მახინჯია და უშნო, ხელოვნება—ლამაზი და შნოიანი; სინამდვილე საზიზღარია და შემზარავი, ხელოვნება—მშვენიერი და მიმზიდველი... რით სცილდება ხელოვნება სინამდვილესა? ოცნებით, „მშვენიერი ტყუილით,“ მხატვრული სიცრუით. ამრიგად, შესაძლებელი ყოფილა ცხოვრების სიტლანქის დამალვა. „მშვენიერი ტყუილი“ „მხატვრული სიცრუე“ ყოფილა თავშესაფარი ნავთსაყუდელი. და თუ ეს ასეა, ამ შემთხვევაში მხატვრული სიცრუე და მშვენიერი ტყუილი, ე. ი. ხელოვნური ფორმა უნდა გახდეს სიცოცხლის პრინციპად. „დიაღ, ფორმა ყველაფერია“ ამბობს უაილდი. მონახეთ გამოთქმა მწუხარებისა და მწუხარება ძვირფასი გახდება თქვენთვის. მონახეთ გამოთქმა სიხარულისა და აღმატებთ თქვენ მის მის აღტაცებასა. თქვენ გსურთ გიყვარდეთ, იმეორეთ ლოცვანი სიყვარულისა, და სიტყვებით გაიღვიძებენ თქვენში ის ამონაკვნესნი, რომელნიც, ბევრის აზრით, ამ სიტყვების წყაროდ გამოდიან... მარტოდ-მარტო გამოთქმა უკვე ერთგვარი ნუგეშია, და ფორმა, რომელიც დასაწყისია ყოველ ვნებისა, ტანჯვის დასასრულია“. ამ ნიადაგზე შემდგარი, ადამიანი მშვენიერის ტყუილის ატმოსფეროში ტრიალებს. აქ სიცოცხლე ხელოვნებად უნდა იქცეს და ხელოვნება სიცოცხლედ. დორიან გრეის სიბილ ვენნი იმ დრომდე უყვარს, სანამ ეს უკანასკნელი მისთვის ხელოვნური არსებაა და სანამ აღვიძებდა მასში ესთეტიურ ჭვრეტის სიამოვნებას. ამგვარადვე ლეონარდო და ვინჩეს უფრო სურათი უყვარდა ჯიოკონდასი, ვიდრე თვით ჯიოკონდა. ადამიანმა შეჰქმნა მადონას კულტი და ბეატრიჩეს სიტურფე. ადამიანი ჭვრეტით და მზერით კმაყოფილდება და უკმაყოფილება იწყება იქ, სადაც სიყვარულს ოცნების ფრთები ეკვეცება და იგი სინამდვილეში სახიერდება.

მაგრამ, შეიძლება თუ არა, ხელოვნებამ სინამდვილის ადგილი დაიჭიროს? უაილდის მხატვრულმა შემოქმედებამ წამოაყენა ეს საკითხი. და სწორედ ამაშია სიდიადე უაილდის შემოქმედებისა, რომ იგი როგორც ჭეშმარიტი და ნამდვილი ხელოვანი თავის მხატვრულის ინტუიციით უარჰყო აღნიშნული ესთეტიური ფილოსოფია. რეალისტმა მხატვარმა თვითვე დაამხო ინტელექტის მიერ შექმნილი განყენებული ესტეტიციზმის თეორია. ყოველივე ეს ლექტორმა დიდის ნიჭით და სილაზათით დაგვიხატა უაილდის თხზულებათა ფილოსოფიურ და ფსიხოლოგიურ ანალიზის საშუალებით. ამ ანალიზის დასკვნა ამნაირია: „თეორეტიკოსმა უალდმა აგო მდიდრად მორთული ტაძარი მშვენიერებისა, მაგრამ მხატვარმა უალდმა ინტუიციით იგრძნო მისი ყალბი საფუძველი და შემოქმედის ჯვერით დაამსხვრია და ნანგრევად აქცია იგი... დიახ, დიდ შეცდომას იდენს ის, ვინც სიცოცხლეს უარჰყოფს როგორც სინამდვილეს და მის მაგიერ ხელოვნების მშვენიერ მარკას წამოაყენებს: იგი შეეჩვევა ყალბი გამოსახვით, გარეგანი ფორმით ცხოვრებას, და თავის შინაგან „მეს“ დეკადანსის მოლიპულ გზაზე დააყენებს.“ განყენებული ესთეტიზმი, რელიგია მშვენიერებისა უარყოფილია. ესთეტიზმი, როგორც სიცოცხლის პრინციპი დაგმობილია. ლექტორი სწორის და უტყუარის ანალიზით გვიჩვენებს პრობლემის ძირითად მხარეს. იგი ამბობს: „ხელოვნური სინამდვილე მხოლოდ სიმბოლოა სასურველი სიცოცხლისა და მით სიცოცხლე, როგორც სინამდვილე, საშიშარი თავისმოტყუება. აქ მარხია წყარო თანამედროვე დეკადანსისა, რომელიც თანამედროვე კულტურას გაქრობას უქადის. მხატვრობით დამთვრალი ადამიანი, პირს არიდებს ნამდვილს ცრემლს, რომელიც უშნო და ულამაზო სახეს ჩამოსდის... კიდევ მეტი: იგი გმირულ თავგანწირულებას განიცდის, როცა ხელოვნურ ტრაგედიით სტკბება, ხოლო თუ უხეში, ტლანქი ვინმე შეხვდა, იგი ხულიგანურად შეურაცხყოფს მას... მაგრამ როდემდის უნდა გაურბოდეს იგი სინამდვილეს? ჭვრეტა მისი უმოქმედოა, მზერა მისი უნებო, სიტყვა მისი უხორცო და სუსტდება და იხრწნება მისი სული... ის, ვინც ოცნებით ფრთაასხმული, ზეცას მონავარდობს, ის შეიძლება მისგან უარყოფილ მიწას დაეცეს ფრთაშეკვეცილი და იხოხოს საცოდავად; ის, ვინც უარჰყოფს მიწას, მას იგი მიწა სამარეს უმზადებს. დიაღ, ვინც უარჰყოფს სინამდვილეს, მას იგი უარჰყოფა საშინელი შურისძიებით მოევლინება თავს... ჩვენ უნდა ვეტრფოდეთ არა იმ ოცნებას, რომელიც სინამდვილეს უარყოფს, არამედ იმ ოცნებას, რომელიც, ერთხელაც არის, სინამდვილის სისხლსა და ხორცს შეისხამს“!!

ლექტორის აზრი ნათელია. მშვენიერების რელიგიამ ვერ ჰპოვა ნავთსაყუდელი. ხელოვნება რელიგიად ქცეული, მოქმედების პრინციპად აღიარებული, უძლური და უნაყოფოა. ლექციის დედა-აზრი ეს არის. და სწორედ ვერ გაგვიგია, რატომ დაამახინჯეს ეს დედა-აზრი, „ახალ სხივში“, სადაც ვლ. ბაქრაძეს წერილი დაიბეჭდა ლექციის შესახებ. ბ-ნი ბაქრაძე ამბობს: „რობაქიძე მომხრეა ოსკარ უალდის ხელოვნების თეორიის, რომლის შინაარსი ჩვენ შეგვიძლია გამოვთქვათ პუშკინის სიტყვებით—тьмы низкихъ истинъ намъ дороже, насъ возвышающій обманъ... საერთო შეხედულება ბ-ნ ... ბაქრაძისა ... ესთე-

*) იხ. „დროება“ N 74.

ტიურ ინდივიდუალიზმზე დოგმატიურია, ის უკრიტიკოდ ღებულობს მის თეორიასო“ (№ 46).

რა ნაირად არის შესაძლებელი, რომ ლექტორი აშენებდეს თავის ლექციის იმ დებულებაზე, რომ რელიგია მშვენიერებისა ყალბი რელიგიაა, რომ იგი სიცოცხლის პრინციპად არ გამოდგება და ამ აზრის დასაბუთებისთვის შესაფერ ანალიზით და კრიტიკით გამოდიოდეს მსმენელთა წინაშე, მსმენელი მწერალი კი, რომელიც უნდა ჰგრძნობდეს თავის პასუხის მგებლობას საზოგადოების წინაშე, დიდ ფელეტონში აქვეყნებდეს—ლექტორი უკრიტიკოდ მოექცა თავის საგანს, იგი მომხრეა რელიგია მშვენიერებისაო.

მკითხველი გაკვირვებული დარჩება. მაგრამ ჩვენი მწერლობის ზნე-ჩვეულებას რომ დააკვირდეს, ადვილად გაიგებს, რაშიაც არის საქმე. ბურჟუაზია, როგორც მოგეხსენებათ, რუსეთში მაინც, ამ რევოლუციის შემდეგ დაღვრემილ გუნებაზეა. ბურჟუაზიული მხატრული შემოქმედება გახრწნილებას სთესავს, აღვირ-აშვებულ ვნებათა თრთოლვას ჰქადაგებს. ბურჟუაზია ხორცში და მრუშში ეძებს დავიწყებას. რელიგია მშვენიერებისა. მისი რელიგიაა. აქედან ცხადია, რომ გრიგოლ რობაქიძე, რომელიც არ ეკუთვნის ს.-დემოკრატიულ ჯგუფს და რომელმაც ამ რელიგიის გარჩევა იკისრა, უნდა იყოს მისი მომხრე და თანამგრძნობი ამას მოითხოვს „ობიექტიურ პირობების ვითარება“, ამას მოითხოვს „საწარმოვო ძალთა ურთიერთობა“ სოციალ-დემოკრატიული აზროვნება და კრიტიკა, რადგან ამ კრიტიკას საბრძოლველი მასალა ეძლევა ამ სახით. აქ ხელოვნების სფეროში მეორდება დღეს ის კომედია, რომელიც უკვე ათი წელიწადია იდგმება სოციალ-პოლიტიკურ ასპარეზის ნიადაგზე. აშკარაა, ამ ფსიხიკამ, მემკვიდრეობით გადმოცემულმა, დააწერინა ახალგაზრდა მწერალს. ვლ. ბაქრაძეს, ის, რაც მან დასწერა გრ. რობაქიძის წინააღმდეგ. ნეტავი ან სირცხვილი არის სადმე, ან მორიდება?

დაუბრუნდეთ საგანს. უაილდის თეორია დაირღვა, დაირღვა არა მარტო კრიტიკის, არამედ თვით ავტორის თვალშიაც. უაილდმა თვითონვე დაარღვია თავისი თეორია. რადგან ძლიერი მხატვარი იყო მის თვალწინ იშლებოდა და იხრწნებოდა ის მშვენიერების სამეფო, რომელშიაც მას სწყუროდა თავის შეფარება. უაილდი ტანჯვის და სევდის მოციქულად გამოდის. „მხიარულება მშვენიერი სხეულისათვის და ტანჯვა მშვენიერი სულისათვისაო“. სევდა და ნაღველი ხდება მის პოეზიად. იგი თითქოს რელიგიურ რწმენას ებღაუჭება და ამრიგად თითქოს სხვა არა ნაცადის გზით სცდილობს სულის მშვიდობიანობის მოპოვებას. მაგრამ აქ ბევრის თქმა არა შეიძლება რა, რადგან ყოველივე ეს მოხდა მწერლის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში. ადვილად შესაძლებელია, რომ იგი ამ სფერაში შექმნიდა მშვენიერ ნაწარმოებს, ხოლო წინდაწინვე შეიძლება იმისი თქმაც, რომ ამ ნაწარმოებს ჯადოსნური ძალა არ ექმნებოდა, იგი ქვეყანას ვერ გარდაქმნიდა, ადამიანს სულის მშვიდობას ვერ მიანიჭებდა და ნავთსაყუდელი, რომელსაც კაცობრიობა დაეძებს, ისევ მიმალული, ისევ ბურუსით მოცული დარჩებოდა.

კარგია, რომ გრიგოლ რობაქიძემ ამ საგნის შესახებ მოკლედ მოსჭრა სიტყვა. ლექტორმა თითქოს ის გვაგრძნობინა, რომ უაილდის „ტანჯვის ფილოსოფია“ მხოლოდ ერთი ნაკვეთი, ერთი აკორდი იყო მისი უკვე დამთავრებულ და გადასულ სიცოცხლისა და პოეტიურ შემოქმედებისა.

ამრიგად, მკითხველი და მსმენელი რაღაც დიდ სევდიან ტრაგედიის მოწამედ ხდება და არა სჩანს არც გასავალი, არც საშუალება ამ ტრაგედიის დასათრგუნად. მსმენელი გატანჯულია ამ უილაჯობით, მაგრამ მადლიერი ხდება მხატვარ ლექტორისა, რომელმაც არ მოინდომა დოგმატიურის საბუთებით და მოწოდებით დაწყლულ იარების განკურნება და აღშფოთებულ სულის დამშვიდება.

ერთი მოსაზრება კიდევ. საკითხია, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ქართულ სიტყვა კაზმულ მწერლობისათვის უაილდის შემოქმედებას? ჩემი აზრი ზოგიერთს პარადოქსად ეჩვენება. უნდა კი ვსთქვა, რომ ჩვენ დღეს გვესაჭიროება გაბედული მხატვარი, დიდი ოცნების პატრონი, რომელიც გულში სევდას ატარებს, თავი კი გაშუქებული აქვს ღრმა და ფართო აზროვნებით. ესკიზებმა, ეტიუდებმა, პატარა მოთხრობებმა ვერ გამოსახეს ის, რაც უნდ იყოს გამოსახული. ჩვენ გვესაჭიროება, თუ შეიძლება ითქვას, სინტეტიური სურათი ქართულ ცხოვრებისა. დროა ვნახოთ ჩვენი თავი, ყველანი ვინცა ვართ, მხატვრულ ნაწარმოებში. ამ სინტეტიურ სურათის შექმნა შეუძლიან დიდ სულოვნებას, დიდ ოცნებას და თუ არ გამიწყრებით „მშვენიერ მატყუვრობას“. ჩვენი ცხოვრება მეტად დაკუწული, განკერძოვებულია. არა სჩანს საერთო ძარღვის ცემა, არას სჩანს მთელი, არამედ მხოლოდ ნაწილი, პროვინციის კუთხეები, ხევი, ფშავ-ხევსურეთი, გურია სხვა. არსად ვხედავთ მთელი ერის სულის ძგერას, მის შემადგენელ ნაწილების მთლიან ურთიერთობას. ვიმეორებ, სინამდვილემ ვერ დაგვანახვა სინტეზი ჩვენის ცხოვრებისა. ხელოვნებამ უნდა გაბედოს და მხატვრულ ნაკვეთში დაგვანახვოს ის, რაც ისახება, მხოლოდ სავსებით არ გამოსახულა, რაც იზრდება და მწიფდება, ხოლოდ სავსებით ვერ გაზდილა და მომწიფებულა. ხელოვნებას აქვს ძალა ამგვარ საქმისათვის. და ხელოვნება, ოცნებით ფრთა შესხმული, „მშვენიერი სიცრუით„ აფრთოვანებული, რეალური ცხოვრების შემოქმედებითი განმარტება და შევსება იქმნება. აქ საშიში არაფერია, მშვენიერებას რელიგიად არ ვაღვიარებთ, იგი ერთგვარი ჭვრეტის და მზერის პროცესია და პროცესი უნდა იყოს ფართო სინტეტიური, რათა დავაღწიოთ თავი ესკიზებს და ეტიუდებს და შევქმნათ ქართული რეალისტური რომანი, სადაც გამოსახული იქნება არა მარტო ის, რაც სინამდვილეში არსებობს, არამედ ისიც, რაც შეიძლება რომ არსებობდეს, ხოლო ჯერ არ არსებობს. ხელოვნების ძლიერებაზეა დამოკიდებული, რომ შესაძლებელი რეალობად იქცეს და მით იგი შემოქმედ ძალად გახდეს.

**არჩილ ჯორჯაძე.**

# დღიური

**სოფლის ერი.**

ჩემს წერილებში არა ერთხელ შევეხე ჩვენებურს ინტელიგენტურ საზოგადოებას, რომლის დაავადმყოფება, უმოქმედობა და გადაგვარების გზაზე დადგომა ყოველს ეჭვს გარეშეა. ამის დანახვა მხოლოდ გონებით ბეცებს, გულმრუდებს და უსიყვარულო ადამიანებს არ შეუძლიათ. ჩვენს ინტელიგენციას, ეგრედ წოდებულს საზოგადოებას, მოკლებულს ძლიერს რწმენას და ნების-ყოფას, ესაჭიროება სრული გარდაქმნა შეუბრალებელი რისხვითა და შთანმთქმელ ცეცხლით—იგი არ არის განვითარებული, იგი არ არის აღჭურვილი მაღალის ზნეობით, მისი სული არ შფოთავს დიადის სიმართლისთვის, მის გულში არ აგებულა სამსხვერპლო მშობელ ერისათვის. მისთვის გამქრალა საშინელება მწუხარებისა და ნეტარება სიხარულისა, მისი გვირგვინი არ ბრწყინავს არც სამოთხის შუქით, არც ჯოჯოხეთის ალით, მისი სახე არ განათებულა არც ძლევა-მოსილობით, არც მოწამეობის შარავანდედით. მასში იხილავთ მხოლოდ სილატაკეს, სინათლეს ჩამქრალს და გულს სუსტს, რომელიც ოდნავად სცემს.

ესეთი მდგომარეობა არის ნაყოფი იმ ყოველ თავისუფლების დამახშობელ წეს-წყობილებისა, რომელშიაც ამდენი ხანია მომწყვდეული ვართ. მთელი ერის გადაგვარება ყოვლად შეუძლებელია; გარეშე ერი დამპყრობელი იმონებს და სჩაგრავს მარტო ერის იმ ნაწილს, რომელთანაც განუწყვეტელი ურთიერთობა აქვს, რომელიც ითვისებს მჩაგვრელის ენას, გარეგნობას, კულტურას, რწმენას და თან და თან ჰკარგავს თავის იერს. ასეთს ბედს განიცდის დამონებულ ერის ინტელიგენცია და მაღალი საზოგადოება. მაგრამ დამმონებელი ვერ სწვდება ერის იმ ნაწილს, რომელსაც შეადგენს დაბალი ხალხი. ხალხი, როგორც ღარიბი და გაუნათლებელი, მოკლებულია საშუალებას შეეხოს და შეითვისოს ბატონის ენა და კულტურა. მის ცხოვრებას ვერ საზღვრავს მონური წეს-წყობილება, რომელსა არ ძალუძს მოეფინოს დაპყრობილ ქვეყნის ყოველს კუთხეს და ოჯახს. ხალხი დაშორებულია სხვის შემოტანილს პოლიტიკურსა და მოქალაქობრივს წესებს, არც ესაჭიროება და არც ეხერხება სიშორისა და სხვა მიზეზით მათი სარგებლობა. ხალხი იცავს ეროვნულ პიროვნებას თავის სიღრმეში და როცა ამის ჟამი დადგება, მის გულში გაღვივდება ის ცეცხლი, რომელიც გაანახლებს მთელს ერს.

ამ ყოფაში ვართ დღეს ქართველები. თვითარსებობის დაკარგვამ გახრწნა ერის ერთი ნაწილი, წაართვა მას ხასიათი, რწმენა, გადააგვარა. მაგრამ დარჩა ქართველი ერის უდიდესი ნაწილი, ეგრედ წოდებული ხალხი, რომელმაც, რასაკვირველია, ბევრი დაჰკარგა გარეშე ერის გაბატონების გამო, ხოლო რომელიც საერთოდ გაურყვნელია, დაცულია ეროვნულად. ამ ხალხში ინახება საღი სისხლი, მტკიცე ნება, სული შემოქმედებისა და განახლება ქართველ ერისა.

ეს ახალი აზრი არ არის, მაგრამ დღეს, როცა ყველაფერს ხელახლა ვაფასებთ და ვამოწმებთ, საჭიროა ამ მცნების განმეორება, მისი კარგად შეთვისება. ჩვენ შეგვიძლია აღდგენა მხოლოდ და მარტოოდენ ხალხის შემწეობით. რომ ხალხი, როგორც მშრომელი ნაწილი, არის მატარებელი დიდი სოციალურ სიმართლისა და მიჰყავს საზოგადოება აუცილებელის სოციალურ თანასწორობისაკენ,—ეს ცხადია, ეს ცალკე საკითხია და ამ ჟამად ამაზე არ ვლაპარაკობ. მაგრამ ჩვენი ეროვნული საქმის გადაწყვეტა—ეროვნულ პიროვნების გაძლიერება, ტერიტორიის შენარჩუნება, ენის და კულტურის დაცვა, განვითარება ყოვლად წარმოუდგენელია თვინიერ დაბალის, მშრომელ ხალხის მუშაობისა.

ეს გარემოება გვავალებს, რაც შეიძლება, გავაფართოვოთ და გავაძლიეროთ ჩვენს ხალხთან დაახლოვება. ხალხი უნდა შეიქმნეს ჩვენს სათაყვანებელ ღმერთად, რომელსაც უნდა მივაპყრათ მთელი ჩვენი ყურადღება, ვინაიდან იგია მხსნელი, განმწმედნელი და აღმადგენელი. მივაწვეთ სოფელს, იქ არის დაცული ეროვნება და იქიდან აღორძინდება მთელი საქართველო. სოფელია ის ადგილი, სადაც ჩვენი შრომა გამოიღებს გაათკეცებულს ნაყოფს. სოფელშია დაბუდებული მრავალი სიდუხჭირე, გაჭირვება, სიღარიბე და ყველაფერს ამას უნდა სასტიკი შებრძოლება, რომ მათის ძლევით გამაგრდეს სოფელი და მოიპოვოს თავის დაცვის იარაღი...

გავაძლიეროთ ხალხთან დაახლოვება, ვამბობ. მაგრამ ეს დაახლოვება დღეს უნდა იყოს ცოტა სხვანაირი, ვიდრე იყო წინა წლებში. წინად თუ ჩვენი დაახლოვება ხალხთან იყო იდეური, განყენებული, თეორეტიული, ახლა მას უნდა მივცეთ უფრო პრაქტიკული ხასიათი, იგი უნდა მოეწყოს პირდაპირ ცხოვრების საჭიროებაზე. მე სრულიად არ ვუარვყოფ იდეურ-პროპაგანდულ მომზადებას, პირიქით დიდი თაყვანისმცემელი ვარ მქადაგებელ აზრის შემოქმედებისა, ხოლო გავლილ წლების გამოცდილება გვეუბნება საშუალების გასხვაფერებას და ხალხთან ღრმა დაახლოვება ითხოვს ქადაგებით მომავლის გათვალისწინებას და დღევანდელ პირდაპირის საჭიროების დაკმაყოფილებით ინტერესის გამოცხადებას. ჩვენ უნდა მივდიოდეთ ორივეს გზით. ფართო პოლიტიკური და სოციალური ქადაგება და მასთან ერთად პრაქტიკული მოწყობა ხალხის დღევანდელ ცხოვრებისა—აი გეგმა ხალხთან დაახლოვებისა. ერთ-ერთ წინა წერილში უკვე აღვნიშნე, თუ რა დიდი მასალაა მიწა-წყლის დაცვა სოფელში მუშაობისათვის. ეს უდიდესი საკითხია—თავისთავადაც და იმიტომაც, რომ იმის გადაწყვეტის დაგვიანება დამღუპველია. მიწის დაკარგვა, უცხოელების ხელში გადასვლა ჩვენს სოფლის მშრომელს ხალხს უქადის ათასგვარს შევიწროებას, ქონებრივ ნიადაგის მოსპობას, სხვა ერის წარმომადგენლებთან ახალს შუღლს, ეროვნულ განვითარების შებორკვას, მიწის დაკარგვა ჩვენი ხალხისათვის იქნება სხვაგან გადახვეწა, რაიც ახლანდელ პირობებში მოუხერხებელია მისთვის და თუ მოახერხა, ჩავარდება უარეს განსაცდელში, ვიდრე მიწის სივიწროვეა.

ეს საქმე დიდს მეცადინეობას მოითხოვს ჩვენგან და ამ მხრივ დაუფასებელი სამსახური შეგვიძლია გავუწიოთ სოფლის ხალხს. ამის შემდეგ არის მრავალი სამუშაო, ეკონომიური და კულტურული. მოწყობა სხვა და სხვა ორგანიზაციებისა ხალხის ქონებრივ წარმატებისათვის და საერთო ცოდნის მიწოდება წიგნებით, კითხვების გამართვით, სამკითხველოებით, საუბრებით, პრაქტიკულის მაგალითებით.

ერთის სიტყვით, დაულეველი მასალაა. სოფლის მშრომელი ხალხში თავისუფალ განათლების შეტანა, მისი ქონებრივი მოღონიერება, ორგანიზაცია—ეს მოგვცემს უძლიერეს ძალას ერის აღორძინებისათვის. ამ ხალხთან დაახლოვებაში ჰპოვებს აღდგენას და განკურნებას უძლურებისაგან ის ინტელიგენცია, რომელიც ჯერ მთლად არ მომკვდარა, რომელსაც მთლად არ გაჰქრობია სიყვარული თავის ვინაობისადმი.

ხალხთან სიცოცხლე—ვისაც უნდა სიცოცხლე! **სიტყვა.**

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ორი თვის წინად ორიოდე სიტყვა ვუძღვენით „ტფ. ლისტ.“-ის ბრძენ პუბლიცისტ ბ-ნ პ—ანს. მაინცა და მაინც ყურადღების ღირსად მისი წერილი ეროვნულ საკითხის შესახებ არც მაშინ გვიცვნია, რაც აშინვე აღვნიშნეთ, ხოლო შემდეგ ბ-ნი პ—ანიც და მისი ბრძნული „გამოკვლევაც“ სრულებით დაგვავიწყდა. მას კი ჰგონია, ვითომ მისმა წერილმა „არა ჩვეულებრივ აღგვაშფოთა“ და ეხლა განუზრახავს—დაგვამშვიდოს და გვანუგეშოს! „ტფ. ლისტოკ.“-დან „ახალ სხივში“ გადაბარგებულა, ალბათ იმიტომ, რომ უფრო ადვილად დაგვაჯეროს, რომ მან „კარგა ხანია შეიგნო იდეური სილატაკე და მტაცებლობის ინსტიქტები სომხების პლუტოკრატიისა“. მართლაც, ამ ფრაზის მოთავსება „ტფ. ლისტოკ“-ში სასაცილო იქნებოდა. მაგრამ, ტყუილად ჰგონია ბ-ნს პ—ანს, რომ ადგილის გამოცვლა რამეს ნიშნავდეს: ის, რაც ჩვენ გამოვამჟღავნეთ და რაც დავაბრალეთ ბ-ნ პ—ანს, დაურღვეველი რჩება და „ახალ სხივის“ ფირმა ვერ უშველის, როგორც ვერ უშველის იმის წამდაუწუმ განმეორება, რომ „დროება“ ნაციონალისტური გაზეთიაო. საზოგადოდ, ბ-ნი პ—ანი დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა იარლიკებისა და ეტიკეტებისა—ესეც დამახასიათებელი თვისებაა ვიწრო ვაჭრულ აზროვნებისა, რომლითაც გაჟღენთილი იყო მისი პირველი წერილი „ტფ. ლისტოკში“...

სადავო საკითხიც სწორედ აქ იყო, ამ ვიწრო ვაჭრულ შეხედულებაში ტერიტორიაზე. ბ-ნი პ-ანი გვარწმუ-

# ნეტავ ვინ ნახა გრიგალი...

ნეტავ ვინ ნახა გრიგალი
სამყაროს თავ-ზარ დამცემი;
სიცოცხლის აღმაშფოთველი,
გულში ლახვარის ჩამცემი?!

ნეტავ ვინ ნახა გრიგალი—
ნიშანი უბედობისა;
ჯოჯოხეთს წარმოშობილი
და მისებრ ღირსი გმობისა?!

ნეტავ ვინ ნახა გრიგალი
გააფთრებული, მყვირალი;
გონ-არეული, შავ-თვალა
და შავად გამომზირალი?!

მე ვნახე: დამჭექ, დამქროლა,
ზედ გულზე გადამიარა
და ამის შემდეგ რას ძიზავს
ამ სოფლის ტანჯვა-იარა?!.

**ახოსპირელი.**

* *
*

ვარსკვლავი არ ჰკრთის,
ცა წაგრაგნულა:
მხარე ტანჯული
ბნელში შთანთქმულა.

—

პოტი გაჰკივის;
გვამცნებს სიკვდილსა,
დედა აღარ ზრდის
ერთგულსა შვილსა.

—

შავი ყორანი
საფლავს გვიმზადებს,
ჩვენს სისხლში ღებავს
თვის უშნო ბრჭყალებს...

—

გული მკერდის ქვეშ
გაცივებულა
და მაჯის ცემა
შეჩერებულა...

—

ულმო ცხოვრება
სიკვდილსა ჰბადებს,
ადამის შვილი
სტირის, ჰვალალებს.

—

და სევდიანი
კვნესა, გოდება,
ვით გლოვის ზარი,
ცათამდე სწვდება!

—

მაგრამ ოცნება
თავს დაგვფარფატებს,
და მოქანცულთა
გვისხავს მსუბუქ ფრთებს.

—

იგი მიგვაფრენს
აღმოსავლისკენ,
წმინდა აღთქმისთვის,
მომავლისკენ.

—

იქ არის ჩვენი
განცხრომის კუთხე,
და იქა ჰყვავის
ჩვენი სამოთხე...

**ს. ფაშალიშვილი.**

# მგზავრი

ქარი ღმუის, ქარი კვნესის,
იზმორება და ღრიალებს,
ხან მინდორზე მძლავრად მოჰქრის
და ხან ნამქერს ატრიალებს.
გაშლილ მინდვრის ვრცელი ზურგი
თეთრად არის გალესილი,
მარტოდ-მარტოდ მე ვარ ობლად
სამოგზაუროთ გამოსული...
სად ვარ?... შიშმა ამიტანა
და უაზროთ ვადგამ ფეხებს,
მალ-მალ უკან ვიყურები
და თვალი კვლავ ძველ კვალს ეძებს...

**ი. მჭედლიშვილი.**

* *
*

(ლონგფელოდან)

სამშობლო მთიდან ანკარა წყარო
მოხტის... მთა და ბარს ებუტბუტება;
მოხტის და ბავშურ სიმხიარულით
ოქროს-ფერ ქვიშას ეალერსება.

—

შორს იმისაგან ოკეანეზე
ტალღა მშფოთვარე მრისხანებს, გრგვინავს;
ხან ვითა ლომი ღრიალს მოჰყვება,
ხან ნაღვლიანად წვება და სძინავს.

—

წყარო კი მოხტის შეუპოვარად...
ჰა, შეხვდა ტალღას აგორებული
და თავის გრილი, ანკარა ცვრებით
მყის დაუმშვიდა მღელვარე გული.

**კატო ბაქრაძე.**

# ცხოვრების ზღაპრები

**მულტატულისა**

ტუგატერი*) თავის მამის ძროხებსა სწველავდა და კარგადაც სწველავდა, რადგან იმის მიერ სახლში მიტანილი რძე უფრო მეტ კარაქს იძლეოდა, ვიდრე იმის ძმების მიერ მიტანილი რძე. გიამბოთ, როგორა ხდებოდა ეს.

ძროხები დიდიხნობით სდგანან ხოლმე და იცდიან, როდის მივლენ და გაანთავისუფლებენ იმ რძისაგან, რომელსაც ისინი თავიანთ ხბოებისთვის ამზადებენ. როცა თავიანთ სულელურ გამომეტყველებით დგანან ჩუმად, რძის უფრო მსუქანი ნაწილი ნაღები, ზევით ადის, ხოლო ძუძუებთან წყალი გროვდება. ვინც მოთმინებით სწველავს უკანასკნელ წვეთამდის, იმას სახლში მსუქანი რძე მიაქვს, ვინცა სჩქარობს—ნაღებს ძროხას უნარჩუნებს. ტუგატერი არა სჩქარობდა, იმისი ძმები კი სჩქარობდნენ, რადგან იმათ მამის ძროხების წველას გარდა სხვა რამის უფლებაცა ჰქონდათ. ტუგატერი არც კი ფიქრობდა ამგვარ უფლებებზე.

— მამამ შვილდ-ისრის სროლა მასწავლა!—სთქვა ერთმა ძმამ:—ნადირობითაც შემიძლიან ვიცხოვრო. მინდა ქვეყნიერებაზე ვიმოგზაურო და მხოლოდ ჩემთვის ვიმუშავო.

— მე მეთევზეობა მასწავლა მამამ,—სთქვა მეორე ძმამ:—სულელი ვიქნებოდი, ძროხების წველა განმეგრძო და სხვებისთვის მემუშავნა.

— მე ნავის გაკეთება მაჩვენა,—წამოიძახა მესამემ:—გამოვთლი ნავსა და გავსწევ სადმე შორს, ახალ ქვეყნების სანახავად. მე მინდა ვიცოდე, რა არის ზღვის იქით.

— მე კიდევ შავთვალა ქალთან მინდა ცხოვრება,—განაცხადა მეოთხემ:—რომ საკუთარი სახლი მქონდეს და ქალები მყვანდნენ, რომელნიც ჩემთვის ძროხებს მოსწველიან.

ამ გვარად, ყოველ ძმასა ჰქონდა რამე სურვილი, მოთხოვნა, ნდომა, და ამით ისე იყვნენ გართულნი, რომ დრო აღარა ჰქონდათ ძროხები კარგად მოეწველათ, და ცხვირპირ დაშვებული ძროხები ყველასთვის უსარგებლოდ ინახავდნენ მსუქან ნაღებს. ტუგატერი კი უკანასკნელ წვეთამდის სწველავდა.

— მამავ,—უთხრეს ბოლოს ძმებმა:—ჩვენ მივდივართ!

— ძროხებს ვიღა მოსწველავს?—ჰკითხა მამამ.

— ტუგატერი!

— მერე იმანაც რომ მოინდომოს მოგზაურობა, თევზაობა, ნადირობა ან შავგვრემან ყმაწვილკაცთან ცხოვრება, რომ საკუთარი სახლი და მოწყობილება ჰქონდეს? უთქვენოდ შემიძლიან ვიყო, მაგრამ უიმისოდ კი არა, მის მიერ მოწველი რძე მსუქანია და გემრიელი.

შვილები ჩაფიქრდნენ ცოტას და უთხრეს:

— მამავ, ნუ ასწავლი ტუგატერს ნურაფერს, მაშინ სიკვდილამდე შენი ძროხების წველას განაგრძობს. ნუ უჩვენებ, რომ მოწეული შვილდი ისარს ისვრის, და ნადირობის სურვილი არ მოუვა. დაუმალე, რომ თევზი წიკლავსა ჰყლაპავს, როცა მაზე ჭიაყელაა წამოცმული, და აზრად არ მოუვა თევზაობა. ნუ ასწავლი ხისაგან ნავის გამოთლას, რომ ზღვაში ცურაობა ვერ შეიძლოს, და ნურასოდეს ნუ გაიგებს, რომ შეუძლიან შავგვრემან ყმაწვილს კაცთან საკუთარ სახლის გაკეთება. დაე, ნურასოდეს ნუ გაიგებს ყველა ამას, მამავ, და მაშინ ტუგატერი სამუდამოდ შენთან დარჩება და შენი ძროხების რძეც მუდამ გემრიელი და მსუქანი იქნება. ჩვენ კი გაგვიშვი, მამავ, სადაც ჩვენი სურვილი გვიწვევს.

ასე ეუბნებოდნენ ვაჟები. მაგრამ მოხუცი უფრო ფრთხილი და წინდახედული კაცი იყო და არა სთანხმდებოდა:

— მერე ვინ დაუშლის გაიგოს ყველას ის, რასაც მე არ ვასწავლი? იქნებ წყალში ჩავარდნილ ტოტზე ბუზი დაინახოს დამჯდარი? იქნებ ფეიქრის ქარგლის გაწეული ძაფი უცბად დამოკლდეს და ნავი ამოისროლოს? იქნებ მდინარეს უცქეროდეს და დაინახოს, როგორ ეტანება თევზი ჭიაყელას? ან იქნებ ტოროლას ბუდე იპოვნოს მინდორში?

ვაჟიშვილები უფრო ღრმად ჩაფიქრდნენ და უთხრეს:

— მაგითი ვერაფერს ისწავლის, სულელია იმისთვის, რომ ცოდნისაგან შეჰქმნას სურვილი. ჩვენც არაფერი გვეცოდინებოდა, შენ რომ არ გესწავლებინა.

მამამ უპასუხა:

— არა, ტუგატერი სულელი არ არის. ვშიშობ, რომ ქალი თავისით ისწავლის იმას, რასაც თქვენ უჩემოდ ვერ ისწავლიდით. არა, ტუგატერი სულელი არ არის!

ძმები კიდევ ჩაფიქრდნენ, ეხლა უფრო ღრმად, და უთხრეს:

— მამავ, უთხარი, რომ ცოდვაა ქალსა ჰქონდეს ცოდნა, გაება რისამე სურვილი.

ეხლა კი ფრთხილი და წინდახედული მამა კმაყოფილი დარჩა ამ პასუხით. მან გაუშვა თავისი შვილები სანადიროდ, სათევზაოდ, სამგზავროდ, ცოლის შესართავად, ყველაფრის ნება მისცა, ქალს კი აუკრძალა ცოდნა, განსჯა და სურვილები. ისიც თავის გულუბრყვილობით სიკვდილამდე ძროხების წველას განაგრძობდა.

და ასეეა ეხლაც.

**გ. ნამორაძე.**

*) ქალის სახელია.

ნებდა, რომ ტერრიტორიის საკითხს რავითარი მნიშვნელობა არა აქვს ერისათვის, ერის მშრომელ ნაწილისათვის; რომ მიწა უბრალო საქონელია, რომლის ყიდვა-გაყიდვა მოქალაქობრივ კანონებით არის განსაზღვრული და რომ ქართველი „ნაციონალისტები“ თავად-აზნაურობის მიწათმფლობელობას იცავენო. ამ ორ საკითხზეჩვენ გავეცით პასუხი ბ-ნ პ-ანს და თუ პოლემიკა სურს, ისევ ამას უნდა დაბრუნებოდა. ამის ნაცვლად ახლა ბ-ნი პ—ანი ლობე-ლორეს ეძებს და ისეთ რამეებზე იწყებს ლაპარაკს, რაზედაც კრინტი არ დაგვიძრავს. „დროება“ ჰფიქრობსო, რომ „თუ მემამულე და გლეხი ერთი ეროვნებისანი არიან, ამიტომ ექსპლოატაციას მათ შორის ნაკლებათ ექნება ადგილი“. ბ-ნი პ—ანი შეუდგება ამ „ღრმა“ მოსაზრების დარღვევას; მაგრამ, რად დასჭირდა ავტორს ამაეზე ლაპარაკი, როცა ჩვენ ეს არსად არ გვითქვამს ჩვენს წერილში და არც გვიფიქრნია? შერე ბ-ნი პ—ანი გადადის ავტონომიის საკითხზე და გვინმარტავს „ქართველ მარქსისტების“ შეხედულებას ამ საგანზე, თუმცა არც ამაზე ყოფილა ლაპარაკი წინად ჩვენს და მის წერილებში. ჩვენ ვამტკიცებდით და ვამტკიცებთ, რომ ქართველ ხალხის, მშრომელ ხალხის მდგომარეობა განსაცდელშია, რადგან მისი ერთად-ერთი დღევანდელი სიმდიდრე, ცხოვრების სახსარი, საწარმოო იარაღი—მიწა სხვის ხელში გადადის, რომ ხალხისთვის დღეს საჭირო მიწა-წყალს სხვები ეპატრონებიან და ეს ძირს გაუთხრის მთელის ერის კეთილდღეობას; ჩვენ ვუკიჟინებდით ბ-ნ პ—ანს, რომ იგი ასეთ ძველ პრობლემას ვაჭრულის საზომით სწყვეტს უბრალოთ: მიწა საქონელია და სულ ერთია, ვის ხელშიაც იქნებაო. ის კი სიტყვას ბანზე აგდებს და გვეუბნება: ჩემთვის სულ ერთია—ვის ხელში იქნება ბაქოს ნავთის წყაროებიო. ბატონო, განა ნავთის წყაროებზეა ლაპარაკი? თუმცა ქვეყნის საერთო მდგომარეობისთვის არც ეს არის სულერთი—ვინ ამუშავებს და ვინ სარგებლობს ქვეყნის სიმდიდრით, მაგრამ ამას თავი დავანებოთ და საკითხი იმ სფერაში მოვამწყვდიოთ, სადაც იყო. ვკითხოთ ბ-ნ პ—ანს: სომხის გლეხობას, მშრომელ მასსას რომ ფეხქვეშიდან ტერრიტორია გამოაცალონ ოსმალეთში და ამიერ-კავკასიის სამხრეთ გუბერნიებში, ეს ამოდენა პროლეტარი სად, რომელ ქარხანა-ფაბრიკაში იშოვის ცხოვრების სახსარს და რა შედეგი მოჰყვება ასეთ ფაქტს სომხის ერის კულტურისა და მომავლისათვის?! კამათი ამაზეა, ბ-ნო პ—ნო, და არა იმაზე, აძლევს თუ არა შეღავათს კლასიურს წინააღმდეგობას ნაციონალური ერთობა ან პრინციპიალური თუ პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ავტონომიის საკითხს...

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპ. სააგენტ.)

2 აპრილს სხდომის დაწყებამდე თავმჯდომარემ გუჩკოვმა განაცხადა: 31 მარტის სხდომაზე მილიუკოვმა უადგილოდ ახსენა ხელმწიფე იმპერატორი, რისთვისაც შენიშვნა მივეცი. ამასთან ორატორმა მძიმე ბრალი დასდო ერთ პოლიტიკურ პარტიას, რომელიც სათათბიროს გარეშეა. მე შენიშვნა არ მივეცი, რადგან ნაკაზით ნება არა მქონდა. ასეთ ბრალდების დარღვევა საბუთებით უნდა. მაგრამ მემარჯვენეებმა საბუთების ნაცვლად ასტეხეს ხმაურობა, ყვირილი, ლანძღვა. როგორც სტენოგრაფიულ ანგარიშიდანა სჩანს, მათ ბევრი შეუფერებელი სიტყვა უთქვამთ, რის თქმაც სათათბიროში ყოვლად შეუძლებელია. ამ გვარი შეურაცხყოფა სახელს უტეხავს მას, ვისი პირიდანაც ამოდის. ასეთი ყოფაქცევა აფერხებს სათათბიროს მუშაობას და მე გთხოვთ, დამეხმაროთ, რომ სასტიკი ზომებით ბოლო მოუღოთ ამ გვარ სცენებს.

პურიშკევიჩმა პასუხი გასცა თავმჯდომარეს და სთქვა, რომ აქ შეურაცხყოფა მიაყენეს უდიდეს მონარქიულ პარტიას, რომელსაც კეთილშობილი, წმინდა და პატიოსანი ორგანიზაცია აქვსო.

შემდეგ სათათბირომ განიხილა კანონ-პროექტი ადგილების იჯარით აღების პირობებისა და ამ ადგილებზე შენობების აგების შესახებ. ილაპარაკა ყველა პარტიის ორატორმა, მაგრამ საყურადღებო არა ყოფილარა. ამ დღეს არ დამთავრებულა ამ კანონ-პროექტის განხილვა.

საღამოზე სათათბირომ განიხილა რამდენიმე სამხედრო კანონ-პროექტი. განიხილა აგრეთვე კანონ-პროექტი 1910 წელს ჯარში გასაწვევ ყმაწვილ-კაცთა რაოდენობის შესახებ, მთავრობას და სათათბიროს უმრავლესობას ზოგიერთი საიდუმლო საბუთები ამ კანონ-პროექტის შესახებ ოპოზიციისთვის დაუმალავს და არ უჩვენებია. ამის გამო ს.-დემოკრატებმა, კადეტებმა და ტრუდოვიკებმა პროტესტი განაცხადეს და სთქვეს, მონაწილეობას არ მივიღებთ კანონ-პროექტის განხილვაშიო.

სიტყვა წარმოსთქვა სამხედრო მინისტრის ამხანაგმა და შეეხო იმ რეფორმებს, რომელიც სამხედრო საქმეში განზრახული აქვს სამინისტროს.

კანონ-პროექტის განხილვა ამ საღამოთი არ დამთავრებულა.

## დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან.

3 აპრილი.

### საზღვარ-გარედ.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. პრემიერ-მინისტრმა ასკვიტმა განაცხადა: თუ ლორდთა პალატა არ დაამტკიცებს დეპუტატთა პალატის მიერ მიღებულ რეზოლიუციებს ლორდთა პალატის უფლებების შეზღუდვის შესახებ, მაშინ მთავრობა მეფეს მიმართავს და სთხოვს, მიღებულ იქმნეს ზომები, რეზოლიუციებმა კანონის ძალა მიიღონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობა გადადგება, ან პარლამენტს დაითხოვსო.

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. ილაპარაკა ფინანსთა მინისტრმა ბილინსკიმ. ბილინსკიმ სთხოვა პალატას, დააჩქარონ იმ კანონ-პროექტის განხილვა, რომლითაც მთავრობამ სესხი უნდა აიღოს. საჭიროაო, სთქვა მინისტრმა, სახელმწიფო ხაზინას დაუბრუნდეს ის ფული, რომელიც ბოსნია-ჰერცოგოვინას შეერთების დროს ავანსად მიეცა სამხედრო უწყებას. ეს ფული სამხედრო უწყებას მიტომ დასჭირდა, რომ მოსალოდნელი იყო ომიო.

ჩამოვიდა რუზველტი. მეფემ მიიღო რუზველტი და დიდ-ხანს ესაუბრა.

**სპოკენი** (ვაშინგტონის შტატი). ლიანდაგიდან გადავარდა სამგზავრო მატარებელი. მოკვდა 3 კაცი. ჰფიქრობენ, რომ დამტვრეულ ვაგონებ შორის ბევრი მგზავრი მოჰყვა და მოკვდა.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატამ მიიღო (384 ხმით წინააღმდეგ 236 ხმისა) რეზოლიუცია, რომლითაც პარლამენტის სესსია ხუთი წელიწადი გრძელდება. პრემიერ-მინისტრის, ასკვიტის შემდეგ ილაპარაკა ბალფურმა. მან სთქვა, ასკვიტის განმარტებანი ირლინდიელების და მთავრობის მოლაპარაკების ერთი უმთავრესი მუხლთაგანიო. ბალფურის აზრით, პრემიერ.მინისტრი ასკვიტი ამ შემთხვევაში თავის თანამდებობის ღირსებას მსხვერპლად სწირავს საკითხს.

**ათინა.** საბერძნეთის მთავრობამ საფრანგეთს სთხოვა გაგზავნოს საბერძნეთში 1 გენერალი და 4 აფიცერი, რომლებმაც საბერძნეთის ჯარის რეორგანიზაცია უნდა მოახდინონ.

**ვენეცია.** ტარნოვსკაიას საქმე. პროკურორის შეკითხვაზედ ექსპერტებმა ბიანკიმ და კაპილლეტიმ განაცხადეს, ნაუმოვი კომაროვსკის მოკვლის დროს თავისუფლად არ მოქმედებდა, არ იცოდა, რას სჩადიოდა. გენუას უნივერსიტეტის გინეკოლოგიურ კლინიკის დირექტორმა, ბოსსიმ ილაპარაკა ტარნოვსკაიას ფიზიოლოგიურ არა-ნორმალობაზედ. ამ არა-ნორმალობას დიდი გავლენა ჰქონდა ტარნოვსკაიას მოქმედებაზედო. ამავე აზრისა გამოდგა იმავე უნივერსიტეტის ექიმი

### * * *

(რომანსი)

...რომ არ ჰგალობ,
ცოდვა არ ვარ?
რად არ მწყალობ,
არ გიყვარვარ?!
მითხარ, მითხარ ეგრე მალე,
ვარდო, ფერი რად იცვალე?!..
..... გენაცვალე!

ვსტირი დღე-ღამ,
ვიგონებ სწორს;
ცრემლის ტალღამ
გამრიყა შორს...
არ მშორდება სივალალე,
მანუგეშე... შემიბრალე...
..... გენაცვალე!

ყველა მაწვდის
ფიალით შხამს
და წყვდიადის
წამოსასხამს...
დავეწაფე გესლს მყწურვალე
და ძირამდის გამოვსცალე...
..... გენაცვალე!..

დე ვიკვნესო,
არას ვჩივი;
დაე ვლესო
ცრემლში სხივი;
დაე მოვკვდე დღეს, თ უნდ ხვალე,
ოღონდ შენ კი გაიშალე..
..... გენაცვალე!

ბულბულს ენა
ვარდს სინაზე,
მოვსტაცე და
შეგთავაზე!..
ვარსკვლავთ გუნდი მოცქრიალე,
ძირს კვარცხლბეკად გაგიშალე...
..... გენაცვალე!..

ჩემად გთვლიდი,
დაგხაროდი,
შენ კი მცვლიდი
რა ვიცოდი?—
თუ არ გსურდი, რად მაწვალე?
ვაგლახ ჩემ თავს.. რად გამცვალე?...
..... გენაცვალე!..

ი. გრიშაშვილი.

მორსელი, ტარნოვსკაია ისტერიკით არის შეპყრობილი, იგი იშვიათი ფიზიკო-პატალოგიური ტიპიაო. ამ დროს ტარნოვსკაიას გული შემოეყარა და რამდენიმე ხნით სასამართლო მიატოვა. მორსელის სიტყვით ტარნოვსკაიას ძალიან ნაკლებად ეტყობა ინტელიგენტობა, ზერეულად აქვს შეთვისებული კულტურა და არ შეუძლიან იდეების ასოციაციაო. ტარნოვსკაია ყოველთვის თანაგრძნობით ეკიდებოდა ღარიბ ხალხსა და ეს არის მიზეზი, რომ ისეთი ადამიანები, როგორც პერიე, კარგის თვალით უყურებდნენ მას. იგი ღრმად გამსჭვალულია რელიგიურის რწმენით, რაიც ხშირი მოვლენაა რუსეთში და ამას გარდა, ძალიან მორცხვია. არ შეიძლება მას უსაყვედუროთ, რომ უყვარს მდიდრულად ცხოვრება და არშიყობა. ყველაფერი ეს ქალაქის უმრავლესობას უყვარს. ტყუილია ის, ვითომ ტარნოვსკაია ჯადოსანი ქალი იყოს. ტარნოვსკაიას სანტიმენტალური და დაუდეგარი ხასიათი აქვს: იგი სერიოზულად არის ავად. მორსელი სწუხს, რომ იმ დროს როდესაც შეზღუდულია მცირე წლოვანთა პასუხისმგებლობა, ამასვე არ ვხედავთ ავადმყოფ ქალთა გასამართლების დროს. ექსპერტმა მიუთითა სასამართლოს იმ პირთა არა-ნორმალობაზედ, რომელნიც ტარნოვსკაიას ეხვივნენ. მორსელის სიტყვით, ტარნოვსკაია არც ბოროტმოქმედად და არც სულით-ავადმყოფი დაბადებულა. ტარნოვსკაიამ, პრილუკოვმა და ნაუმოვმა შეუგნებლად მოჰკლეს კომაროვსკი. მორსელის აზრით, ტარნოვსკაია უნდა გასამართლდეს კანონის იმ მუხლის ძალით, რომლითაც შეზღუდულია პასუხის-მგებლობა იმ ბრალდებულებისა, რომლებიც ჭკუის სისუსტით არიან შეპყრობილნი. წაიკითხეს პრილუკოვის გაყრილ ცოლის ჩვენება.

**სტამბოლი.** პრიშტინში მოქმედება დაიწყეს სამხედრო სასამართლოებმა. სჩხრეკავენ არეულობის მეთაურების სახლებს. ზოგი მათგანი დააპატიმრეს

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატამ მიიღო (351 ხმით წინააღმდეგ 246 ხმისა) რეზოლიუცია, რომელიც ზღუდავს ლორდთა პალატის ვეტოს უფლებას.

**ხანკოუ.** ჩანშეში არეულობა ძლიერდება. გუბერნატორის სახლს ცეცხლი წაუკიდეს და დაანგრიეს. მოსამსახურეებმა მიატოვეს ინგლისის საკონსულოს და დამოენის სადგომები. უცხოელები ქალაქიდან გაიქცნენ. ჩანშეში გაიგზავნა სამი სამხედრო გემი.

**ბერლინი.** დღეიდან სხვა და სხვა ქალაქებში გარდა ბერლინისა და ჰამბურგისა ითხოვენ აუარებელ საამშენებლო სამრეწველოს მუშებს. მთავრობამ ჯერ-ჯერობით ვერ შესძლო მექარხნეების და მუშების მორიგება. მექარხნეების ლოკაუტი ძლიერდება. ხვალიდან მთელ გერმანიაში სრულიად შეჩერდება საამშენებლო სამრეწველოების მოქმედება.

**ბერლინი.** ზედა პალატა შეუდგა პრუსიის ლანდტაგის არჩევნების შესახებ კანონპროექტის განხილვას. კანცლერმა განაცხადა: კანონპროექტი უკვე განიხილა ლანდტაგმა. ლანდტაგმა შეასწორა კანონპროექტი. მართალია ლანდტაგის მიერ შესწორებულ კანონპროექტს ბევრი ნაკლულოვანება აქვს, მაგრამ მთავრობა მაინც ემხრობა ლანდტაგის მიერ შესწორებულ კანონპროექტს, რადგან არა სურს, რომ დაწყებული მუშაობა უშედეგო გამოდგესო. დასასრულ კანცლერმა წინადადება მისცა პალატას მიიღოს კანონპროექტი. კამათის დროს გამოირკვა, რომ არც ერთი ორატორი მომხრე არ არის კანონ-პროექტისა. კანონ პროექტი კომისიას გადაეცა.

**პეკინი.** ჩანგშეში არეულობა გამოიწვია ბრინჯის გატანის საქმემ. ბრბომ სულ ერთიანად გაანადგურა პურის ამბრები და დასწვა ქრისტიანთა მისიონერების სამი სადგომი. გუბერნატორის სახლზე დაცემის დროს, სასიკვდილოდ დასჭრეს გუბერნატორი, რომელიც უკვე გარდაიცვალა. ქალაქი მეამბოხეების ხელშია. ქალაქში გაიგზავნა ჩინეთის ჯარი.

### რუსეთი

**ვარშავა.** სენატორმა ნეიდგარტმა ერთი დღის განმავლობაში რევიზია გაუკეთა საინტენდანტოს, ქალაქის და ციხის 60 მაღაზიას.

**პეტერბურგი.** გუშინ გარდაიცვალა მხატვარი ფრუბელი.

**პოლტავა.** სადგურ კონსტანტინოგრადზე ტელეგრაფისტმა სინერუკოვმა მორიგის ოთახიდან მოიტაცა 2,924 მანეთი. ამ დროს მორიგის ოთახში მუშაობდა მორიგე მოხელე. სინერუკოვი რევოლვერით დაემუქრა მორიგეს, სტოლზე დასტოვა რევოლიუციონურ ორგანიზაციის წერილი და მიიმალა.

**კიევი.** სოფელ ვისში ვერეშჩაკში ხუთი შეიარაღებული ბოროტგანზრახველი თავს დაეცა მღვდლის სახლს. ბოროტგანმზრახველებმა მოჰკლეს მღვდელი. დააპატიმრეს ორი ბოროტგანმზრახველი.

**პეტერბურგი.** საერო განათლების მინისტრმა მინისტრთა საბჭოში შეიტანა კანონ-პროექტი გიმნაზიების და მოსამზადებელ სკოლების შესახებ. კანონ-პროექტით გიმნაზიები უნდა იყვნენ: რვა კლასიანი, ქალებისა და ვაჟებისა. გიმნაზიებში ასწავლიან ან ორ ძველ ენას, ან ერთ ძველ ენას და ან სულ არ ასწავლიან ძველ ენებს. გიმნაზიებს ინახავს ხაზინა, ან შემწეობას აძლევს გიმნაზიებს. ამას გარდა, მინისტრის ნებართვით გიმნაზიების გახსნა შეუძლიანთ ერობებს, ქალაქებს, წოდებებს, საზოგადოებებს და კერძო პირებს. ადგილობრივ ენების და არა მართლმადიდებელ სარწმუნოების სამღვთო სჯულის დედა-ენაზედ სწავლება შეიძლება საერო განათლების მინისტრის შემდეგ. ამ შემთხვევაში საჭიროა შინაგან საქმეთა მინისტრის თანხმობაც. ამას გარდა, კანონ-პროექტით არსდება სამ-კლასიანი მოსამზადებელი სკოლები. ეს სკოლები ბავშვებს გიმნაზიებისთვის მოამზადებენ. ასეთ სკოლებს ინახავს ხაზინა და ამ შემთხვევაში საჭიროა საერო განათლების მინისტრის ნებართვა. სკოლების შენახვა და გახსნა ადგილობრივ საზოგადოების ხარჯითაც შეიძლება და ამ შემთხვევაში საჭიროა სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვა. მოსამზადებელ სკოლებში ასწავლიან: საღმთო სჯულს, რუსულ ენას, ფრანგულს, ანგარიშს, ბუნების-მეტყველებას, რუსეთის მოკლე ისტორიას, გეოგრაფიას, ხატვას და მართლ-წერას. სამ-კლასიან მოსამზადებელ სკოლის კურსდამთავრებულებს გამოუცდელად იღებენ გიმნაზიის მესამე კლასში. უმაღლეს პირველ-დაწყებით სკოლების კურს დამთავრებულებს შეუძლიანთ გამოუცდელად შევიდნენ გიმნაზიების მოსამზადებელ, პირველ და მეორე კლასებში.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **ქართული თეატრი.** როგორც გადმოგვცეს, დეპუტატთა საკრებულო კერძო კაცს აძლევს თეატრს იჯარით და არა დრამატიულ საზოგადოებას. ქართულ დასს ერთ დღეს დაუთმობენ მხოლოდ. როცა თეატრს რემონტს უკეთებდნენ და 380,000 მანეთს ხარჯავდნენ, ყველას ყურებს უჭედავდნენ, ქართულ საქმეზე ვხარჯავთ ამოდენა ფულსაო, ეხლა-კი ქართულ წარმოდგენებისთვის ერთ დღეს იმეტებენ მხოლოდ.

✦ **ქალაქის თავი.** ტფ. ქალაქის თავი თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი გუშინ, 3 აპრილს შეუდგა თანამდებობის ასრულებას.

✦ **სწავლა დამთავრებულნი.** წელს ქალაქ ბაზელში (შვეიცარია) ორმა ქართველმა გაათავა სამკურნალო ფაკულტეტი—მიხეილ მგალობლიშვილმა და სვიმონ ლეჟავამ. მგალობლიშვილმა პირველი ხარისხის დიპლომი მიიღო.

✦ **შეიარაღებული თავდასხმა.** ქართლიდან გვწერენ: მარტის ბოლო რიცხვებში ღამე ოთხი შეიარაღებული კაცი დასცემია სოფ. არაშენდაში (გორის მაზრა) ანდრია კობაძის სახლს, წაურთმევიათ 110 მანეთი ფული, ვერცხლის ქამარი და სხვა ნივთები. აქედან მიხა კობაძის სახლს მისდგომიან გასაცარცვავად დაუწყიათ გარედან სროლა და მიხა კობაძის ქალი ლიზა ფეხში დაუჭრიათ. რადგან მიხას კარი არ გაუღია, ერთი ბოროტგანზრახველი ფანჯარაში ასულა და გადაძრომა მოუნდომია, მაგრამ ამ დროს მიხას ისეთის ძალით უტაკებია რკინის სამთითი უცნობისთვის, რომ იგი უკან გადმოვარდნილა. ავაზაკებს გაუტაცნიათ დაჭრილი და მიმალულან.

✦ **კლუბის მამასახლისები.** 2 აპრილს მოხდა საზოგადო კრება ავლაბრის კლუბის წევრთა მამასახლისების ამოსარჩევად. კენჭის ყრით მამასახლისებად არჩეულ იქმნენ: ა. ს. აფრიამოვი, ზ. ა. ასლამაზოვი, ს. გალსტიანი, ი. ს. იგიტიანცი, ე. კრუტიკოვი, შალვა მიქელაძე, გ. დ. მურადოვი, ს. მ. ნუნუფაროვი, ს. ი. ფორაქაშვილი, ევდ. სუხომლინისა და კ. ა. ხოლზოვი.

✦ **ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭოს ხვალ, 5 აპრილს, გამგეობა წარუდგენს განსახილველად მოხსენებას ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების კომიტეტისას იმის შესახებ, რომ ქალაქმა შეიძინოს საზოგადოების სახლი ველიამინოვის ქუჩაზე. კომიტეტი ამ შენობას ქალაქის თვითმმართველობას უთმობს 400,000 მანეთად. საბჭო ჯერ პრინციპიალურად განიხილავს საკითხს ამ სახლის შეძენის შესახებ.

✦ **სამეურნეო ბანკის კრება.** დღეს, 4 აპრილს, 12 საათისთვის, დანიშნულია საზოგადო კრება საურთიერთო სამეურნეო ბანკის წევრებისა. კრებამ უნდა დაამთავროს მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა და მოახდინოს არჩევნები დირექტორისა და სარევიზიო კომისიის.

✦ ტფილისში მერძევეები რძეს ჰყიდიან „კრუჟკებით“. ეს ჭურჭელი ზოგს პატარა აქვს, ზოგს დიდი. ამ არა ნორმალურ მდგომარეობას ყურადღება მიაქცია ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა და მოხსენება შეიტანა ქალაქის გამგეობაში, რომ ერთგვარი ჭურჭელი იქმნას შემოღებული. საჭიროა სავალდებულო დადგენილებათა გამოცემა. გამგეობამ დაადგინა, აღძრას შუამდგომლობა საბჭოს წინაშე სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის შესახებ.

✦ დღეს 4 აპრილისთვის დანიშნულია საზოგადო კრება ტფ. მეორე საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების წევრთა. კრება განიხილავს წარსული წლის ანგარიშს და მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვას. დასასრულ, მოხდება არჩევანი თანამდებობის პირთა.

✦ ნამესტნიკის ბრძანებით, ვიატკის გუბერნიაში გადასახლებულს სტეფანე ა. მახიევს ნება მიეცა დაბრუნდეს სამშობლოში.

✦ გამოვიდა ჟურნალ „ერის“ მორიგი ნომერი შემდეგი შინაარსით: „ჩვენ და ცხოვრება“—ფ. გოგიჩაიშვილისა; „უბედური შეცდომა“—ალაროდიელისა; „დედამ ჰთქვა“—ლექსი ბაჩანასი; „დედა სოფელი“ გიდე მოპ. თარგ. ვ. ღ—ძისა; „სტრიქონები“—ლექსი ი. გრიშაშვილისა; „გულ-კეთილები ვართ“—ა. მ—ლისა; „ჩეხია“—გ. გვაზავასი; „ქართული წიგნი“—მ. ა—ლისა და „ნუცალ-ხანი“ ივ. ბუქურაულისა.

✦ 1 აპრილს პოლიციამ მოღნინის ქუჩაზე, მარიამ მელერიანის ბინაზე დააპატიმრა აზანსი პეტროსიანცი, რომელსაც განჯის პოლიცია დაეძებდა სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედების ჩადენისათვის. იმედოვის სახლის მეეზოვე მიკირტიჩა კალაშოვი პოლიციის პირველ ნაწილში გაჩხრიკეს. აღმოაჩნდა რევოლვერი 6 პატრონით.

✦ ტფ. გუბერნატორმა დაამტკიცა ხმოსნები ი. ს. ჯაბადარი და მ. ი. სვეშნიკოვი ქალაქის ტრამვაის მეთვალყურე კომისიის წევრებად.

✦ 2 აპრილს, საღამოს 7 საათზე, პოლიციამ დააპატიმრა გორის მაზრის სოფელ ლახისის მცხოვრები ალექსი იაკ. ელიაშვილი, რომელიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ ნება დაურთველად დაბრუნებულა. ამავე დღეს 25 უპასპორტო კაცი დააპატიმრეს მე-9 და მე-6 ნაწილში.

## მოწერილი ამბავი

**გორი.** სულ ერთი წელიწადია, თუ ცოტა მეტი რაც ფოსტა-ტელეგრაფის კანტორამ წერილების ყუთი ჩამოჰკიდა ქალაქის უთვალ საკრებულოს, ხოლო აწინდელ პროკურორის კარებ-

ში და სამხედრო საკრებულოსთან. მაგრამ რადაც უცნაური თვისება გამოიჩინეს ამ ყუთებმა. თუ ერთი გაჭიუტდნენ, მთელი პოლიცია რომ მიაყენოთ, ვერას გახდებით—არ იზამს, არავითარ წერილებს არ მიიღებს. ამას წინად ერთი კაცი თითქმის ზედ ყუთზე შესკუპებულიყო და რადაცას აცოდვილებდა ზევიდან. თურმე წერილის ჩაგდება უნდოდა შიგ, მაგრამ ვერ მოახერხებინა, არ ჩადიოდა და თან მამაშვილურად ილანძღებოდა. ეს რომ „წესიერების დამცველს" დაენახა, რასაკვირველია, „ექსპროპრიაცია" ეგონებოდა და ერთი ამბავი მოხდებოდა. ეს ვფიქრობ, მსახურების ბრალია. ეკუდმა სდებენ ხოლმე, ვგონებ, წერილების პარკებს ყუთებში და ისინიც იმიტომ ივიცებიან ასე ხშირად. საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსმა და სამკაპეიკიან წერილების გულისთვი „რაკეთ უბნიდან" და „ვაკეზლიდან" არ არბენინოს ხალხი ფოსტაში.

ამ ბოლოდროს აქ მეტად გვარცელდა ქურდ ბაცაცობა. იმდენად „თავდაბალი" აღმოჩნდნენ ეს ნაძირალებიი, რომ გატეხილ ცულის ტარსაც კი იპარავენ, თუ-კი მოახელებენ. ამას წინად ვოგზლის ნაწილში გაქურდეს ერთი ღარიბი კაცი. ქურდებმა უკანასკნელი ფლასიც კი წაიღეს. გაუტეხეს ხიდის დუქანი მეხიტოვს და, ვგონებ, 30 მანეთამდე წაიღეს. რამდენი ამისთანა ხდება, ვინ ჩამოსთვლის! საჭიროა თვით საზოგადოებამ რაიმე ღონე იღონოს.

მადლობა ღმერთს, გორელები მალე ვეღირსებით აბანოსაც და მით დიდი ხნის ნატვრა აგვისრულდება. ბ-მა ი. ოთარიძემ უკვე ააგო ამისთვის ორ სართულიანი შენობა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ახალ ხიდის ყურთან. როგორც თვით ოთარიძე ამბობს, ზემო სართულში, სხვათა შორის, მოთავსებული იქმნება სამკითხველო, საჩაიე და საპარიკმახერო სტუმართათვის. შენობა მალე დამთავრდება და მოქმედებასაც შეუდგება.

25 მარტს ადგილობრივ სასულიერო სასწავლებლის უფროს კლასების მოწაფენი, მასწავლებელთა ხელმძღვანელობით, ექსკურსიით გაემგზავრნენ მცხეთის ისტორიულ ნაშთთა დასათვალიერებლად. ექსკურსანტებმა დაათვალიერეს ბევრი შესანიშნავი ადგილები და იმ დღესვე საღამოს მატარებლით დაბრუნდნენ ნასიამოვნები.

მოვაგონებ ერთხელ კიდევ ქალაქის გამგეობას, მიაქციოს ყურადღება ელექტრონის ფარნებს, რომელნიც რადაცა მიზეზით ასე ხშირათ ჰქრებიან და სულ არ ინთებიან. ამისთანა ელექტრონით განათებას, ნავთით განათება სჯობია,

გადააყენეს კარალეთის საზოგადოების მთავრობის მამასახლისი კარგად ცნობილი ა. ხანაყოშვილი. მის ადგილას თვით გლეხებმა აირჩიეს კარალელი გლეხი გურგენაშვილი.

ვინმე სანგანიძე.

—

ს. ძიმითი (ლანჩხუთის საბოქაულო). ამას წინად ს. ძიმითის მცხოვრებმა ვლადიმერ ჯახუტაიშვილმა ბოქაულთან იჩივლა, მამასახლისი დუკა ფრანგულაიშვილი ქრთამებს იღებსო. ბოქაულმა დაკვირვებით გამოიძია ეს საქმე და შეადგინა ოქმი. ბოლოს 20 ამ თვეს დაიბარა მამასახლისი და უბრძანა, სამ დღეში წარმოდგინა პასუხი, ქაღალდზე დაწერილი. ამასთან გამოუცხადა, 24 მარტიდან დათხოვნილი იქნები სამსახურიდანო.

21 მარტს, დილის 10 საათზე, ოზურგეთიდან გადმოვიდა 25 დარაჯი. დარაჯებს ახლდათ ორი უცნობი. მგზავრები გაემართნენ მამათისაკენ. მივიდნენ ფრანგულაიშვილის სახლში და მოითხოვეს თოკი. შემდეგ ყველანი მიადგნენ ერთს კლდეს, რომლის გვერდზედაც ხვრელი მოსჩანდა ძირიდან ათ საჟენზე. წვერზე ავიდა რამდენიმე დარაჯი, თოკით ჩამოუშვეს ერთი დარაჯი, რომელმაც ხვრელიდან ამოიღო ოთხი დიდი ყუთი ცარიელ ყუმბარებით და თოკითვე ჩამოუშვა ძირს. აჰკიდეს ცხენებზე ყუთები და გაბრუნდნენ ოზურგეთში.

ვაჰ!

—

ს. ამაშუკეთი (იმერეთი). ჩვენი სოფელი დატანჯულია უგზოობით. ორკლასიანი სკოლა გვაქვს, მაგრამ რათ გვინდა: სამი მხრიდან მდინარე ჩამოუდის და თუმცა ხიდებია, მაგრამ ბეწვისა, ისე რომ ცხონებულები თუ გადაფრინდებიან, თორემ წარმენდილები ახლოსაც ვერ გაეკარებიან.

საზოგადოდ ჩვენში ცხოვრება მიძინებულია. მოსწავლე ახალგაზდობა ორისამი წლის წინად სდგამდა პიესებს, ეხლა კი აღარაფერი ისმის. სამკითხველოც დაარსეს, მაგრამ ეს ორი-სამი წელიწადია გარდაიცვალა (დაიხურა).

ჩვენ მომრიგებელ შუამავალს ა. ზ. წერეთელს ხშირად მოუქცევია ჩვენთვის ყურადღება და დაგვხმარებია. წარსულ წელს, მაგალითად, დაგვიცვა სოფლის მოხელეების ქრთამისა და უკანონო მოქმედებისაგან და ეხლაც, იმედი გვაქვს, ყურადღებას მიაქცევს სკოლის ახლო ხიდებს, რითაც საშუალება მოგვეცემა ბავშვების სკოლაში მიბარებისა.

კაკილო.

## ქუთაისის რამე-რუმე

ქუთაისში გახურებული სეზონია ლექციებისა. ასეთი უხვი მოსავალი არავის ახსოვს. სად გნებავთ, რომ ლექციები არ იკითხებოდეს. ხან და ხან ერთ და იმავე დროს რამდენიმე ლექცია: ქალაქის საბჭოში, საკრებულოს დარბაზში, ქალაქის თეატრზე ხომ ნულარას იტყვით.

ნეტავ წინადაც იყვნენ ამდენი ნასწავლი ლექტორნი, თუ ეხლა ახალმა მოდამ მოიტანა?..

* *

რა მოვახსენოთ. ეს კი ცხადია, რომ მოდას აქ საპატიო ადგილი უჭირავს. გასამართლებაც გახშირდა. ასამართლებენ ერთსა და იმავე დამნაშავეს ყველგან ყველანი და რამდენჯერმე. მაგალითად, ანფისა. საბრალო, საბრალოო მსჯავრს ვერ ელირსა. გაასამართლეს ქართულად, არ იკმარა თურმე, მოინდომეს რუსულად საქმის გამოძიება და მართლაც 30 მარტს ანფისას ხელ-ახლად ვხედავთ საბრალმდებლო სკამზე. გასამართლების პროცესი მეტად სუსტი იყო, და თუ ქართულს შევადარებთ, სულ დაეკარგება ელ-ფერი. ბრალდებული ანფისა მსაჯულებმა ეხლაც გაამტყუნეს. გასამართლებაში, რა თქმა უნდა, ქართველები იღებდნენ მონაწილეობას.

ჩვენს განათლებულებს არც ეს რუსული გასამართლება აკმაყოფილებთ თურმე. აზრადა აქვთ ანფისა კიდევ ორჯერ გაასამართლონ: ფრანგულად და „ესპერანტოს" ენაზე.

* *

არ ასცდება გასამართლება ლექტორ აბრამოვიჩსაც, მაგრამ ამ შემთხვევაში მე წინ და წინვე ვიწინასწარმეტყველებ, რომ ბრალდებულს გაამართლებენ.

საბრალმდებლო ოქმი მოკლედ გადმოგვცემს შემდეგს:

„სატახტო ქალაქის ცნობილმა ლექტორმა ბ. აბრამოვიჩმა ქუთ. ქალაქის თეატრში ხუთშაბათს, 1 აპრილს, დანიშნა პირველი თავისი საჯარო ლექცია: „ქალი და მისი როლი ცხოვრებასა და ლიტერატურაში". და როდესაც თეატრში საზოგადოება შეიკრიბა, ნამეტნავად მანდილოსნები, ხალხს გამოუცხადეს: ლექცია აღარ იქნებაო!..

მერე რა ვუყოთ. პირველი აპრილი მოტყუების დღედ ითვლება... და ამისათვის დამნაშავეს არ სჯიან...

* *

მეტადრე ჩვენ, ქართველები, ისე ვართ შეჩვეულნი მოტყუებას ანუ იმედის გაცრუებას, რომ ამისათვის სრულიადაც არაა საჭირო პირველი აპრილი. მარტში რამდენჯერმე დაინიშნა მეტად საყურადღებო კრება. იწვევდნენ საჭმობლო სიმღერა-მუსიკის მოყვარულთ, მაგრამ კრების გახსნამდე საქმე ჯერ ვერ მისულა... ასეთი სიყვარული და პატივისცემა გვაქვს ამ სიმპატიურ საქმისა. უნდა ვსთქვათ ისიც, რომ შუადღის ნაცვლად, როცა ბევრი ლექციებზეა ხოლმე, უმჯობესია საღამო ხანს დაინიშნოს კრება, შეიძლება მეტი ხალხი დაესწროს კრებას, ზოგი საქმისთვის, ზოგიც სადილის შემდეგ... გამოსაძინებლად...

* *

ძილი რომ ვახსენეთ, უცბათ თვალწინ დაგვიდგა ზოგიერთ ქართველ ინტელიგენტის მოღრუბლული სახე, თითქოს უნდა შეგვეკითხოს: ჩვენზედაც ხომ არ ითქმის, ვითომ ძილი გვიყვარდესო. რასაკვირველია არა, ღმერთმა დაგვიფაროს ასეთ ცილისწამებისაგან. ყველა ვხედავთ, რომ მათ საქვეყნო საქმეების ზრუნვასა და ფიქრში ღამეც-კი არა აქვთ მშვიდი ძილი და მოსვენება. მათის მეცადინეობით დაარსდა რუსული გაზეთი „კუტაისკი ლისტოკი", რომლის ყოველ ნომერში ბ-ნი ნ. მკურნალი ორორ მეთაურს აცხობს: скотоводство, свиневодство, козеводство, пчеловодство და ყოველგვარ водство-ს შესახებ. ესაა მხოლოდ თავი და თავი საკითხი: ვისთვის ან რისთვისა სწერს ეს უებარი პუბლიცისტი?..

ქუთაისის გუბერნიაში რუსი გლეხი სანთლით საძებნელია, ქართველი გლეხი-კი ბ-ნ მკურნალის რუსულ ფილოსოფიასთან, საუბედუროდ, ან, უკეთ რომ ვსთქვათ საბედნიეროდ, მწყრალად გახლავთ, და თუ მარტოოდენ თავის ცოდნის გამოსაფენადა სწერს, ესეც შემცდარია, რადგან როგორც ვიცით თვით ქუთაისში свиневодство-ს ამ ბოლო ხანებში ცოტანი და მისდევენ...

ჯაფარ-ფაშა.

## ოსმალეთი

### აჯანყება ალბანიაში.

ალბანიის აჯანყებულ ოლქებში ოსმალეთის მთავრობამ გაგზავნა 34 ბატალიონი მსწრაფლ-მსროლელ არტილერიით. ამ ჯარის უფროსად დანიშნეს გენერალი შევკეთ-ტარგუთ ფაშა, რომელიც 26 მარტს მივიდა სტამბოლში გენერალისიმუს მახმუდ-შევკეთ-ფაშასთან სამხედრო პლანის თაობაზე მოსალაპარაკებლად. მთავრობა აპირებს აგრეთვე რამდენსამე სამხედრო გემის გაგზავნას ალბანიის ზღვის ნაპირებზე სადარაჯოდ. რასაკვირველია, მთავრობის ჯარი ბოლოს და ბოლოს სძლევს ალბანელებს, მაგრამ ჰფიქრობენ, რომ მათ დამშვიდებას დიდი დრო დასჭირდებაო, ალბანიის უგზო უკვლო მთებში მეტად გაუჭირდება მოქმედება ოსმალეთის ჯარს, ხოლო ალბანებს, რომლებმაც ყოველი ბილიკი იციან ამ მთებში, ძლიერ ადვილებით იქ ბრძოლა. ალბანელები სხვათა შორის იმასაც მოითხოვენ, რომ მთავრობამ აღადგინოს ყველა მათი უპირატესობა, რომლითაც ალბანელები სარგებლობდნენ ძველ წესწყობილების დროს, როდესაც ისინი შეადგენდნენ სულთნის თვითმპყრობელობის უმთავრეს ბურჯს. ოსმალეთის მთავრობა-კი პირიქით ცდილობს, ალბანელთა უფლება გაუთანასწოროს ოსმალეთის ყველა დანარჩენ მოქალაქის უფლებას. პირველ შეტაკების დროს ალბანელებმა ორი ზარბაზანი წაართვეს ოსმალებს, მაგრამ ერთმა ოსმალელმა ოფიცერმა მალე ისევ წაართვა ეს ზარბაზნები ალბანელებს.

## ინგლისი

### ლორდთა უფლება ხაზინისო საქმეში.

წარსულ 23 მარტს ინგლისის დეპუტატთა პალატამ მიიღო პირველ მინისტრის ასკვიტის წინადადება: შეიზღუდოს კამათი ლორდების წინააღმდეგ წარდგენილ რეზოლიუციების შესახებო, ესე იგი ყოველ ცალკეულ რეზოლიუციაზე კამათმა წინადვე განსაზღვრულ დროზე მეტი არ უნდა გასტანოსო. ამ წინადადების 24 და 25 მარტს პალატამ განიხილა და მიიღო პირველი რეზოლიუცია, რომლის ძალითაც ლორდებს ესპობათ ყოველი უფლება საფინანსო საქმეებში. ამ რეზოლიუციას ხმა მისცა სამინისტროს ყველა მომხრე პარტიამ: ლიბერალებმა, მუშებმა და ირლანდიელებმა.

კამათმა ამ რეზოლიუციის თაობაზე ორ დღეს გასტანა. ორსავე პარტიის ორატორები იმეორებდნენ ძველ საბუთებს. ლიბერალები ამტკიცებდნენ, რომ ინგლისში 1407 წლიდან განვითარდა და მტკიცედ დამყარდა კონსტიტუციონური ჩვეულება, რომლის თანახმად ფინანსების კონტროლის უფლება მხოლოდ დეპუტატთა პალატას აქვს. შარშან ლორდებმა ბიუჯეტის უარყოფით დაარღვიეს ეს ჩვეულება და ამის გამო აუცილებელი შეიქნა ამ დარღვეულ ჩვეულების მაგივრად დაწერილი კანონი გამოიცეს.

კონსერვატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ბიუჯეტის უარყოფის უფლება ყოველთვის ჰქონდათ ლორდებს, რომ ზედა პალატას ამას იქითაც უნდა ჰქონდეს ასეთი უფლება, რომლითაც განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა ისარგებლოს ხოლმეო.

## რუსეთი

✦ **ცირკულიარი.** საერო განათლების მინისტრს სამოსწავლო ოლქის მზრუნველებისათვის ცირკულიარი დაუგზავნია. ცირკულიარში ნათქვამია: გაიგეთ იმ სტუდენტების გვარები, რომლებიც პურიშკევიჩის საწინააღმდეგო კრებაში მონაწილეობას იღებდნენ და სასტიკად დასაჯეთო.

✦ **დუმბაძე.** „ბაკუ"-ს იალტიდან დეპეშით ატყობინებენ: ამ რამდენიმე ხნის წინად ექიმების რჩევით მოსარჩენად ჩამოვიდა პროვიზორის თანაშემწე, ებრაელი ტირკელტაუბი. ტირკელტაუბმა მალე სამსახური იშოვნა და ლევის აფთიაქში შევიდა. ამ დღეებში დუმბაძემ დაიბარა ტირკელტაუბი და უთხრა: „თქვენ უკვე მორჩითო"? „დიაღ, მაგრამ მე სამსახურში ვარ". „48 საათის განმავლობაში, რომ აღარ განახოთ იალტაში" დაუყვირა დუმბაძემ.

✦ **ტოლმაჩევის წერილი.** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, ოდესის გრადონაჩალნიკს გენერალ ტოლმაჩევს სამხრეთ-დასავლეთ რკინის გზების უფროსისთვის, ნემეშაევისთვის წერილი მიუწერია. რკინის გზის განცხადებებს რევოლიუციონერების გაზეთებს აძლევთ („ოდესკ. ნოვს." და „ოდესსკ. ნოვ."), მაშინ, როდესაც ოდესაში პატრიოტული გაზეთი არსებობს, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვისო. გამაგებინეთ რა არის ამის მიზეზიო. ამბობენ, ნემეშაევმა ტოლმაჩევს უპასუხა, წესდების ძალით განცხადებები ისეთ გაზეთებში უნდა დავბეჭდოთ, რომლებიც მეტი გადისო.

✦ **პოლონეთში.** როგორც ვიცით, პოლონელებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ვარშავის უნივერსიტეტს და მთავრობის სხვა სასწავლებლებს. „რეჩი"-ს სიტყვით, გაზეთები დიდ პროპაგანდას ეწევიან, რომ ბოიკოტი მოიხსნას,

ეხლა პალატაში არც ერთი სხდომა არ ჩაივლის ხოლმე უიმისოდ, რომ კონსერვატორებმა არა ჰკითხონ პირველ მინისტრს: დეპუტატთა პალატის მიერ დამტკიცებულ რეზოლიუციების წარუდგენთ, ბიუჯეტს რას უპირებთ, როდის დაითხოვთ პარლამენტს და სხვა. ყველა ამ კითხვაზე პირველი მინისტრი ასკვიტი მუდამ ერთსა და იმავე ირონიულ პასუხს იძლევა: „მოიცადეთ და ნახავთ!".


## განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღარიბებს ოთხშაბათობით უფასოდ იღებს. (6.—78)

**იყიდება** კავკასიაში პირველი სასტერილიზაციო ლაბორატორია რძისა, ღვინისა, ლუდისა და სხვა სასმელების სტერილიზაციისათვის. ლაბარატორია ჯერ არ გამართულა და იყიდება სხვა და სხვა საპატიო მიზეზებისა გამო. ფასი 900 მანეთი.

ადრესი: მიხეილის ქ. N 146, იგითხონ მასწავლებლის ბინაზე. (2—224—1)

ტფილისის ქალაქის

**გამგეობა**

სთხოვს იმ პირთ, რომელთაც მე-10, 11 და 12 საპოლიციო ნაწილებში გადაიხადეს ქალაქის გადასახადი ამ კვიტანციებით №№ 28903, 28905 და 28916 (კვიტანციები გაცემულია ფულის მომკრების ფეოდოროვის მიერ), წარადგინონ ეს კვიტანციები ქალაქის გამგეობის მეოთხე განყოფილებაში საქმის დღეს 10-დან 2 საათამდე აღძრულ უთანხმოების გამოსარკვევად. (3—6.—2)

პირველი კერძო სამკურნალო

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1886 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეების გარდა

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ყ. მ. პიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და შ...

ზ. ი ბაბანასოვი: 0—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. აბეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. პ კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

ბ. გ აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა: 9½—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

საღამოთი:

ქალ. ექ. პ ს. ზილბერშაცი: 6—6½ ს საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი ბ. ა ნავასარდიანი.

**მთავარი მოგებანი:**

◀ 75,000, 40,000, 20,000, 15,000, 10,000 და სხვა ▶

მთავრობის ფულის ლატარია, რომელიც ხუთ-კლასად არის გაყოფილი და მოხდება ვარშავის სახელმწიფო ბანკში.

**ლატარიის გამგეობა** პირდაპირ კერძო პირებზე ბილეთებს არა ჰყიდის, ბილეთებს ჰყიდიან რწმუნებული კოლექტორები. ფოსტის ხარჯი და სატირაჟო ცხრილების დაგზავნა საბანკირო სახლის ხარჯით.

მოგება იძლევა დაუყოვნებლივ ბილეთის წარდგენის დღეს.

**ტირაჟი მოგებათა:**

4 კლ. 26 და 27 აპრილს 1910 წ.

5 კლ. 29 მაისიდან 10 ივნისამდე.

**ფასები მე-4 კლასში მონაწილეობისთვის:** (მეხუთე კლასის მოგებაში მონაწილეობის მიუღებლად)

ა) მოგების დროს ბილეთის ფასის გამოკლებით: მთელი ბილეთი 8 მანეთი, ½ ბილეთი 4 მანეთი, მეოთხედი ბილეთი 2 მანეთი.

ბ) მოგების დროს ბილეთის ფასის გამოუკლებლივ: მთელი ბილეთი 12 მანეთი, ½ ბილეთი 6 მანეთი, ¼ ბილეთი 3 მან. 1/10 ნაწილი ათ მთელ ბილეთში 12 მან. — „ 1/20 „ „ „ . . . . 6 მან. — „

**პაები 3, 4 და 5 კლასზე:**

1/5 ნაწილი ბილ. 18 მან. — კ.

1/10 „ „ 10 მან. — „

1/20 „ „ 4 მან. 50 „

შეიძლება ნაწილ-ნაწილად: ნახევარი შეკვ. დროს, ნახევ. აპრილში.

Л. В ЛАНДАУ и К°.

საბანკირო სახლი
Варшава, Братская 18.

ადრესი დეპეშებისთვის:
„Варшава Ландаубанкъ"

(Д. и Э. Метцль и К°. N 25,824). 4—6.—1)

**სანერგე ამერიკულ ვაზისა**

„კლდე-ეგურული" ქუთაისში

● **უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში** ●

1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები.

**მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.**

აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—6.—37)

**სააქციონერო საზოგადოება**

**„გრამოფონი"**

ტფილისი, გოლოვინის პროსპ., ტელეფონი № 69.



არის მრავალი მოლაპარაკე მაშინა, მაგრამ ნამდვილი ამათგანი მხოლოდ **გრამოფონებია** ჩვენი საქარხნო ნიშნებით: „**მწერალი ანგელოზი**" და „**ხმა პატრონისა**". ამ გრამოფონებს ურჩევთ ყველას, როგორც საუკეთესო საჩუქარს **სააღდგომო დღესასწაულებისთვის.**




**ახალი ამბავი:** საუკეთესო აპარატები **65 მან.** და უფრო ძვირი.

მრავალი ფირფიტა შალიაპინის, სობინოვის, კარუზოს, ტეტრაცინის, შუვალოვას, ვავიჩის, მანახოვის, სევერსკის ხმებით, აგრეთვე მრავლად არის ფირფიტები **კავკასიელ მომღერალთა ხმებით:** ბაგრატასი, მ. ბეგბუტოვისა, და კარია-მდიევისა, ფორზალიევისა და სხვათა. ყველა ჩვენ აპარატს და ფირფიტას აქვს ფაბრიკის მარკა „მწერალი ანგელოზი", რასაც ვთხოვთ ყველას, ყურადღება მიაქციოს.

◀● **ერიდეთ სიყალბეს** ●▶

სააქციონერო საზოგადოების „გ რ ა მ ო ფ ო ნ ი ს" ნაწარმოებნი მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ აგრეთვე **გ. ს. დავიდოვთან,** სერგიევის ქ., აზოვო-დონის საკომერციო ბანკის პირდაპირ. (4—6.—2)


სტამბა „სინათლე" რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.